სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო

დადგენილება № 01-05-04/155

ქ. თბილისი

26 ივნისი 2019

საგანმანათლებლო პროგრამების მოდიფიცირებული სახით დამტკიცების შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 21-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“, ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის დეკანის მოხსენებითი ბარათის, ფაკულტეტის 2019 წლის 22 ივნისის საბჭოს სხდომის №5 ოქმისა და აკადემიური საბჭოს 2019 წლის 26 ივნისის №01-05-02/13 ოქმის საფუძველზე **საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიურმა საბჭომ დაადგინა:**

1. მოდიფიცირებული სახით დამტკიცდეს შემდეგი საგანმანათლებლო პროგრამები:
   1.1. ბაკალავრიატის საგანმანათლებლო პროგრამა „საბანკო და საფინანსო ტექნოლოგიები“;
   1.2. ბაკალავრიატის რუსულენოვანი საგანმანათლებლო პროგრამა „ბიზნესის ადმინისტრირება“.
2. წინამდებარე დადგენილება ძალაში შევიდეს გამოქვეყნებისთანავე.
3. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის მეშვეობით, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №6.

დადგენილებას თან ერთვის: ბიზნესტექნოლოგიების ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან ამონაწერი (იხ. დანართი).

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე **ა. ფრანგიშვილი**

აკადემიური საბჭოს მდივანი **გ. სალუქვაძე**